გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 296 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის -4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -69 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 18 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 6 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 51 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

ქალაქი გორი:

გორი, ნადირაძის ქუჩა N15 - მე-2 სადარბაზოს სარდაფში შესაკეთებელია კანალიზაცია.

გორი, ცხინვალის გზატკეცილის N15, N17, N19-ში, N21-ში და N21ა-ში - ცხინვალის გზატკეცილზე არსებული წყლის არხის გაწმენდა.

გორი, ცხინვალის გზატკეცილის N11-ში, ყიფიანის ქ. N26 და ყიფიანის ქ. N28 - საერთო ეზოს მოასფალტება და კანალიზაციის შეკეთება.

გორი, სუხიშვილის ქ. N 18 - ეზოს მოასფალტება.

გორი, ნინოშვილის ქუჩა - ნინოშვილის ქუჩის და პუშკინის ქუჩის გადაკვეთაზე სანიაღვრე არხის თავსახურის დაფარება.

გორი, დ. ყიფიანის ქ. N16 - ეზოს მოასფალტება და კანალიზაციის შეკეთება.

გორი, სუხიშვილის ქ. N24 - ეზოს მოასფალტება.

გორი, ცხინვალის გზატ. N17ა - წყლის არხის გაწმენდა და მის მიმდებარედ არსებული ხეების მოჭრა.

გორი, მტკვარმშენის დასახლება - მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია.

გორი, დ. ყიფიანის ქ. N15 - ეზოს მოასფალტება.

გორი, ცხინვალის გზატ. 19 - კანალიზაციის კაპიტალური შეკეთება თანადაფინანსებით, ეზოს მოასფალტება და სასმელი წყლის შეკეთება.

ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია - არხის კაპიტალური გაწმენდა-გასუფთავება მე-5 სამხედრო ბრიგადიდან ამილახვრის ხიდამდე.

გორი, არაგვის ქუჩა - საკანალიზაციო თავსახურების გზის დონამდე ამოწევა და მოასფალტება და გზის შეკეთება.

გორი, ცხინვალის გზატ. 11 და 11ა - მიმდებარედ ტყვიავის ქუჩის მხრიდან სკვერის მოწყობა.

გორი, მეჯვრისხევის მე-3 ბარაკი - სახლების ნომერაცია.

გორი, მეჯვრისხევის მე-4 ბარაკი - სახლების დაკანონება.

გორი, მე-4 საბავშვო ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორია - სტადიონისა და სკვერის კაპიტალური შეკეთება.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო 2024 წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი

2023 წლის 19 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: დავით სარალიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის წმინდაწყლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის დავით სარალიძის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით სარალიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით სარალიძეს , რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1

ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით სარალიძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ხათუნა მაისურაძემ და ნინო გეგელაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა

საკრებულოს წევრი: დავით სარალიძე.